



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს
მთლიანი შიდა პროდუქტი

2017

IV კვარტალი

21.03.2018

www.geostat.ge

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

2017 წლის IV კვარტალი

2017 წლის IV კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 10 572,3 მლნ. ლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამისი კვარტალის მიმართ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 5,4 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო დეფლატორი 6,1 პროცენტით გაიზარდა.


ცხრილი №1

| | IV კვ. 2016 | IV კვ. 2017* |
|---|-------------|--------------|
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი) | 9 454,8 | 10 572,3 |
| მშპ ერთ სულზე (ლარი)** | 2 541,3 | 2 843,4 |
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი) | 3 788,2 | 4 076,7 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ. დოლარი)** | 1 018,2 | 1 096,4 |
| მშპ-ის რეალური ზრდა (%) | 2,8 | 5,4 |
| მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%) | 4,7 | 6,1 |

* წინასწარი მონაცემები;

** 2016 და 2017 წლებში ერთ სულზე გაანგარიშებულ კვარტალურ მაჩვენებლებში ასახულია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით (პროცენტი)



* წინასწარი მონაცემები.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

| ეკონომიკური საქმიანობის სახე | IV 16 | IV 17* |
|--|----------------|-----------------|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | 637,3 | 623.6 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 73,5 | 96.2 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 796,1 | 940.0 |
| ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 263,7 | 278.1 |
| პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ | 211,4 | 208.2 |
| მშენებლობა | 714,6 | 820.3 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 1 408,1 | 1 616.8 |
| სასტუმროები და რესტორნები | 234,0 | 261.4 |
| ტრანსპორტი | 519,0 | 620.9 |
| კავშირგაბმულობა | 191,1 | 193.4 |
| საფინანსო საქმიანობა | 298,3 | 371.1 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 603,9 | 683.6 |
| საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა | 235,4 | 243.2 |
| სახელმწიფო მმართველობა | 893,3 | 975.1 |
| განათლება | 418,0 | 444.3 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 446,4 | 496.1 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 348,6 | 367.5 |
| შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული | 8,4 | 8.6 |
| საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის | | |
| ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება | -132,9 | -164.1 |
| მშპ საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი | 8 168,2 | 9 084.4 |
| (+) გადასახადები პროდუქციაზე | 1 328,8 | 1 534.7 |
| (-) სუბსიდიები პროდუქციაზე | 42,2 | 46.8 |
| მშპ საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი | 9 454,8 | 10 572.3 |

* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ (პროცენტი)

| ეკონომიკური საქმიანობის სახე | IV 16 | IV 17* |
|---|------------|------------|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | -0,7 | -2,5 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | -12,2 | 6,1 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 0,2 | 9,4 |
| ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 12,4 | 2,2 |
| პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ | 2,8 | -4,2 |
| მშენებლობა | 6,2 | 9,5 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 3,1 | 6,9 |
| სასტუმროები და რესტორნები | 14,2 | 9,2 |
| ტრანსპორტი | 0,7 | 10,6 |
| კავშირგაბმულობა | -4,7 | -1,1 |
| საფინანსო საქმიანობა | 10,5 | 15,4 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 7,5 | 5,0 |
| საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა | -1,0 | 0,7 |
| სახელმწიფო მმართველობა | 0,4 | 2,8 |
| განათლება | 5,2 | 4,5 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 1,3 | 3,9 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 2,5 | 4,6 |
| შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის | -0,5 | -1,3 |
| ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება | 7,0 | 16,7 |
| მშპ საბაზისო ფასებში | 2,9 | 5,3 |
| გადასახადები პროდუქციაზე | 2,5 | 5,7 |
| სუბსიდიები პროდუქციაზე | 6,4 | 5,3 |
| მშპ საბაზრო ფასებში | 2,8 | 5,4 |
| მშპ დეფლატორი | 4,7 | 6,1 |


* წინასწარი მონაცემები

ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: საფინანსო საქმიანობა (15,4 პროცენტი), ტრანსპორტი (10,6 პროცენტი), მშენებლობა (9,5 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (9,4 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (9,2 პროცენტი), ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (6,9 პროცენტი), სამთომოპოვებითი მრეწველობა (6,1 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (5,0 პროცენტი), სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (4,6 პროცენტი), განათლება (4,5 პროცენტი).

კლება დაფიქსირდა შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამუშავება (-4.2 პროცენტი) და სოფლის მეურნეობაში (-2.5 პროცენტი).

დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2018 წლის 15 ნოემბერს.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2017 წლის IV კვარტალში*



* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (17,8 პროცენტი) და მრეწველობა (16,8 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს სახელმწიფო მმართველობა (10,7 პროცენტი), მშენებლობა (9,0 პროცენტი), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (9,0 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (7,5 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა (6,9 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,5 პროცენტი).

საინფორმაციო ფურცელი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით. წლიური მონაცემები, როგორც წესი, განსხვავდება კვარტალური მონაცემებისაგან.

გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც. მაგალითად, 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემები თავდაპირველად გაანგარიშდა 2016 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. 2017 წლის ნოემბერში, 2016 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2016 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად შეიცვალა 2017 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემებიც. გარდა ამისა, 2018 წლის ნოემბერში 2017 წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდება 2017 წლის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები.

საკონტაქტო პირები: ლევან ქარსაულიძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)

E-mail: lkarsaulidze@geostat.ge; info@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)

E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge